ნელი თორდია
593 61 07 72



# „ნაციონალები" ახალ პროფკავშირებს ქმნიან?

## „ვეჭვობ, რომ კოჰაბიტაციის რეჟიმში მყოფი „ნაციონალები" დღეს გიორგი ლაცაბიძის მეშვეობით აპირებენ „სინდიკატის" რეანიმაციას"

**სანამ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ სამსახურებიდან უკანონოდ და პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებული ადამიანები სამართლიანობის აღდგენას ელიან, წინა ხელისუფლების ჩინოვნიკები და „ნაცმოძრაობის" პარტიული ბოსები დასაქმებისა და ფულის შოვნის ახალ მეთოდებზე მუშაობენ. წინა კვირას გავრცელდა ინფორმაცია სკოლამდელი აღზრდის სისტემაში ახლად შექმნილი „განათლების პროფესიული კავშირის" გამოჩენის შესახებ. ამაში განსაკუთრებული არაფერი იქნებოდა, რომ არა ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ვინაობა. „განათლების პროფესიული კავშირის" ლიდერი, გიორგი ლაცაბიძე, დიმიტრი შაშკინის „ჯიბის პროფკავშირებად" ცნობილი „განათლების პროფესიული სინდიკატის" ძველი შემადგენლობიდან გახლავთ, ერთ-ერთი აქტიური წევრი პეტრე წურწუმია კი განათლების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ყოფილი უფროსი და დიმიტრი შაშკინის მეგობარია.**

ეს განათლების ყოფილ მინისტრთან დაახლოებულ პირთა მიერ პროფკავშირული საქმიანობის განხორციელების პირველი შემთხვევა არ გახლავთ. მცირე ისტორიულ ექსკურსს შემოგთავაზებთ და შეგახსენებთ, რომ ზემოთ ხსენებული „განათლების პროფესიული სინდიკატი", რომელსაც ასევე დიმიტრი შაშკინის ნათესავი და მეგობარი ტარას შავშიშვილი ხელმძღვანელობდა, 2008 წელს გამოჩნდა და სისტემაში დამკვიდრება ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოახერხა. „სინდიკატის" გამოჩენას დაემთხვა იმ დროისთვის ყველაზე მძლავრი და მრავალრიცხოვანი პროფკავშირული ორგანიზაცია „პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების" ხელისუფლებასთან ურთიერთობის გაუარესება. როგორც მოსალოდნელი იყო, „ნაციონალებმა" საპროტესტო აქციების მოყვარულ, „მყვირალა" პროფკავშირებსა და შაშკინის „ჯიბის პროფკავშირებს" შორის არჩევანი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთეს, რასაც პროცესების ლოგიკური განვითარება მოჰყვა. განათლების მინისტრის პირდაპირი მითითებით, საგანმანათლებლო რესურსცენტრებმა სკოლის დირექტორებს მასწავლებლების „პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირიდან" გამოყვანა და შავშიშვილის სინდიკატში შეყვანა მოსთხოვეს, რასაც მალევე „სპმთპ"-სთვის ფინანსური წყაროების გადაკეტვა მოჰყვა. ხელისუფლების მხრიდან დაწყებული დევნისა და ზეწოლის შემდეგ ორგანიზაციის პრეზიდენტი, მანანა ღურჭუმელიძე, იძულებული გახდა, საქართველო დაეტოვებინა და კანადაში პოლიტიკური დევნილის სტატუსით გაეგრძელებინა ცხოვრება. უმძლავრესი პროფკავშირული ორგანიზაციის დაშლისა და მისი ლიდერის „განეიტრალების" შემდეგ „სინდიკატმა" სამოქმედო ასპარეზი გააფართოვა, თუმცა ორგანიზაციის წინსვლა გარკვეულწილად შეაფერხა იმ დროისთვის „სკოლის დირექტორთა ასოციაციის" ლიდერის, თეა თუთბერიძის მიერ ორგანიზებულმა და პროკურატურისთვის გადაგზავნილმა ფარულმა ჩანაწერებმა, რომელშიც განათლების სამინისტროს მაღალჩინოსნის გარდა, ტარას შავშიშვილი და მისი მოადგილე ნუკრი მაჭავარიანი ფიგურირებდნენ. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ „განათლების პროფესიული სინდიკატისა" და მისი ლიდერის საქმიანობით კბილაშვილის უწყება დაინტერესდა, თუმცა მოკვლევის საბოლოო შედეგების შესახებ, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების დაცვა – ანტიკორუფციული კავშირის" თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ ახლად შექმნილი „განათლების პროფესიული კავშირი" „განათლების პროფესიული სინდიკატის" მემკვიდრე და ტრადიციების გამგრძელებელია და პედაგოგთა უფლებების დამცველად არ გამოდგება. გიორგი ბურჯანაძის თქმით, ახლად გამომცხვარი პროფკავშირის ლიდერი, გიორგი ლაცაბიძე, „განათლების სინდიკატში" მოღვაწეობის პერიოდში ტარას შავშიშვილთან ერთად თავად გვევლინებოდა პედაგოგთა უფლებების დამრღვევად და სკოლებში პოლიტიკური ინტერესების გამტარებლად. ბურჯანაძის თქმით, ტრანსფორმირებული „სინდიკატის" მფარველად დიმიტრი შაშკინის ნაცვლად ამჯერად თბილისის მერია და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო მოგვევლინა:

**გიორგი ბურჯანაძე – არასამთავრობო ორგანიზაცია „ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების დაცვა – ანტიკორუფციული კავშირის" თავმჯდომარე:**

– სამწუხაროდ, სკოლამდელი აღზრდის სფერო უკონტროლოდ არის მიშვებული და ვილაცები გაჭირვებული მასწავლებლების ხარჯზე ფულის გაკეთებას ცდილობენ. მოგეხსენებათ, რომ ასპარეზზე გამოჩნდა „ძველი სახეებით" შექმნილი ახალი პროფკავშირები, რომელიც ბაგა-ბაღის პედაგოგებსა და თანამშრომლებს თავის მომსახურებას სთავაზობს. „განათლების პროფესიული კავშირის" ხელმძღვანელი ძველი სინდიკატელი გიორგი ლაცაბიძეა, ერთ-ერთი აქტიური წევრი კი დიმიტრი შაშკინის მეგობარი, განათლებისა და სასჯელაღსრულების სამინისტროების ყოფილი ჩინოსანი – პეტრე წურწუმია. სანამ ამ ადამიანების მიზნებსა და გეგმებზე მოგახსენებდეთ, გეტყვით, რომ ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა, რამაზ სულამანიძემ, ბაღის გამგეები დაიბარა და უთხრა, რომ ახალ პროფკავშირებთან ხელშეკრულებები გაეფორმებინათ. ვინც შეხვედრაზე ვერ მივიდა, იმ გამგეებს შეტყობინებები ელფოსტით დაუგზავნეს. ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები პოლიტიკიდან წასვლის შემდგომი პერიოდისთვის ფინანსურ საფუძვლებს იმზადებენ. ახალი პროფკავშირის საწევრო გადასახადები დავთვალეთ და ყოველთვიურად 20-დან 40000 ლარამდე გამოდის, რაც არც ისე მცირე თანხაა. ჩვენს ორგანიზაციას დაუკავშირდნენ ბაღის პედაგოგები და გვითხრეს, რომ ისედაც მცირეხელფასიანი ადამიანებისთვის ახალი პროფკავშირების წინადადება მიუღებელია.

**– პროფესიულ კავშირებთან ხელშეკრულების დადება ნებაყოფლობითია და ძალას ვინ დაატანს?**

– მასწავლებლების თქმით, როცა საქმეში სააგენტოა ჩარეული, უარის თქმა არ გამოგვდის, იმიტომ, რომ სისტემა, ჯერჯერობით, ამათ ხელშიაო. როგორც ჩანს, შიშის ფაქტორი ისევ მოქმედებს, ამიტომ გვთხოვეს, ჩვენი უფლებები დაიცვათო, რაზეც ჩვენგან თანხმობა მიიღეს. მეტსაც გეტყვით: იგივე მომსახურებას, რასაც ლაცაბიძის პროფკავშირი სთავაზობს, ჩვენ სრულიად უფასოდ მივაწვდით. რა თქმა უნდა, იმ სრულიად აბსურდულ და შეუსრულებელ დაპირებებს არ ვგულისხმობ, რასაც ლაცაბიძის პროფკავშირი მასწავლებლებს ჰპირდება. კერძოდ, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევაში ორი თვის ხელფასის გადახდას და ა. შ. არ ვიცი, რომელი ბიუჯეტიდან აპირებენ ამის განხორციელებას, მაგრამ ეჭვს აჩენს ის გარემოება, რომ თავის დროზე „განათლების პროფესიული სინდიკატიც" ასეთი ტკბილი დაპირებებით ინყებდა და ბოლოს რა მივიღეთ, ყველამ კარგად იცის. ეს ორგანიზაცია ყოველთვის ფინანსურ მაქინაციებთან ასოცირდებოდა. სინდიკატის სახელს უკავშირდებოდა საეჭვო ხარისხის ტრენინგებით ცნობილი მასწავლებელთა გადამზადების ცენტრები და სასკოლო გამომცემლობა, რომელიც მასწავლებელთა პორტფოლიოებს, სასკოლო ჟურნალებსა და მსგავსი ტიპის საკანცელარიო პროდუქციას ბეჭდავდა. როგორც ვიცი, მასწავლებლები არც ამ საკანცელარიო პროდუქციით და არც სინდიკატის მიერ ჩატარებული ტრენინგებით არ სარგებლობდნენ, მაგრამ იძულებული იყვნენ, განათლების მინისტრის მფარველობის ქვეშ მყოფი ორგანიზაციისთვის კონტრაქტის საფუძველზე ფული ეხადათ. შავშიშვილის ორგანიზაციის გასაძლიერებლად მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობდა და ეჭვი მაქვს, რომ კოჰაბიტაციის რეჟიმში მყოფი „ნაციონალები" დღეს გიორგი ლაცაბიძის მეშვეობით აპირებენ „სინდიკატის" რეანიმაციას.

**„ქრონიკა+"-თან საუბარში ბაღების გამგეები სააგენტოს მხრიდან „განათლების პროფესიული კავშირის" ლობირების მიზნით რამე სახის ზეწოლას უარყოფენ და განმარტავენ, რომ გადაწყვეტილება, რომელ პროფესიულ კავშირს ანდონ მათი უფლებების დაცვა, თავად პედაგოგების მისაღებია.**

**თამუნა ბაქრაძე – №6 ბაგა-ბაღის გამგე:**

– რამაზ სულამანიძეს არ დავუბარებივართ, თავად გიორგი ლაცაბიძე იყო ჩვენთან მობრძანებული და მასწავლებლებთან შეხვედრა ჰქონდა. ხელშეკრულების ფორმაც თავად ბატონმა გიორგიმ გადმოგვიგზავნა და თუ მასწავლებლებს სურვილი ექნებათ, ხელშეკრულებას გააფორმებენ. საწევრო გადასახადი აქაც ხელფასის 1% არის, როგორც სხვაგან, მაგრამ, ჯერჯერობით, ჩვენი მასწავლებლები ამ კონკრეტული ორგანიზაციით არ დაინტერესებულან და მომავალში რას გადაწყვეტენ, ვერ გეტყვით.

**ნინო სიჭინავა – №115-ე ბაგა-ბაღის გამგე:**

– ჩვენი ბაღი ისევ იმ პროფკავშირებთან თანამშრომლობს, რომელიც წლების მანძილზე საქმით, გულით, სულით, პრობლემების გაზიარებითა და ყველანაირი ადამიანური თვისებით გვერდში გვედგა. ეს არის პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირები, რომლისთვისაც არ გვიღალატია და არც ჩვენი ხელფასის 1%-ის გადარიცხვა გვენანება. ვინაიდან არჩევანის შეცვლას არ ვაპირებთ, ჩვენთან არავინ მოსულა და არც ჩვენ დავინტერესებულვართ ვინმეს მოსვლით.

**ახლად შექმნილ პროფკავშირებთან რამე სახის ურთიერთობა და ლობირება უარყო ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელმა. რამაზ სულამანიძის თქმით, მას კანონმდებლობა ავალდებულებს, პროფესიულ ორგანიზაციას, რომელიც პედაგოგების დაცვის კუთხით საკუთარ სამოქმედო პროგრამას წარადგენს, ბაგა-ბაღებში შესვლაში დაეხმაროს:**

– ჩვენთან ბევრი სხვადასხვა ორგანიზაცია მოდის, რომელსაც ბაღებში შესვლა სურს და უფლება არ გვაქვს, წინააღმდეგობა გავუწიოთ, უარი ვუთხრათ. რაც შეეხება იმას, რომ ვინმეს ვლობირებთ და ვეხმარებით, სრული აბსურდია. ჩვენ ნებისმიერ ორგანიზაციას აღმოვუჩენთ დახმარებას, რომელიც გვეტყვის, რომ ბაღებში შესვლა და პროგრამის წარდგენა უნდა. ეს კანონით უზრუნველყოფილი ქმედებაა და ლობირება რით გამოიხატება, არ ვიცი? მოკლედ გეტყვით, არავის ვლობირებთ და არავითარ დავალებებს არ გავცემთ. ბაგა-ბაღის კარი ნებისმიერი პროფესიული კავშირისთვის გახსნილია.

**– ანუ ის ბაგა-ბაღი, რომელიც ლაცაბიძის პროფკავშირთან ხელშეკრულებას არ დადებს, თქვენგან საყვედურს არ მიიღებს?**

– ამაზე საუბარიც კი არასერიოზულია.

**გავრცელებული ინფორმაციით, გიორგი ლაცაბიძე „განათლების პროფესიულ სინდიკატთან" და ყოფილ ხელისუფლებასთან ყველანაირ კავშირს უარყოფს. მისი თქმით, სინდიკატში მხოლოდ ერთი თვე იყო და როცა შაშკინის ხელისუფლებასთან გარიგება შეამჩნია, ორგანიზაცია დატოვა. „ახალი პროფკავშირები აპოლიტიკურია და მასწავლებლებით მანიპულირებას არ აპირებს", – აცხადებს ერთ-ერთ გამოცემასთან საუბრისას გიორგი ლაცაბიძე. ბუნებრივია, ახლად შექმნილი პროფკავშირული ორგანიზაციის ლიდერის პოზიციით დავინტერესდით და მასთან გასაუბრება ვცადეთ, მაგრამ დატვირთული სამუშაო გრაფიკის მომიზეზებით, გიორგი ლაცაბიძემ ინტერვიუზე უარი გვითხრა.**

პატივცემულო დირექტორებო!

მოგესალმებათ განათლების პროფესიული კავშირი!

ჩვენი შეხვედრებიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ კოლექტიური ხელშეკრულების ნიმუშს, რომელსაც დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში უნდა მოეწეროს ხელი პროფკავშირსა და თქვენს შორის.
ხელშეკრულების ცარიელ გრაფებში გთხოვთ შეიყვანოთ თქვენი იურიდიული რეკვიზიტები.
თქვენი მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პროცესის დასრულება გთხოვთ გვაცნობოთ ამავე ელექტრონულ მისამართზე ან ტელეფონზე, რის შემდეგაც მოხდება თქვენთან პროფკავშირების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერაც ორ ეგზემპლარად.

ასევე გიგზავნით პროფკავშირის წევრის თანხმობის განაცხადის ფორმას, რომელსაც ავსებს გაწევრიანების მსურველი პირი ერთ ეგზემპლარად.

ასევე გიგზავნით პროფკავშირის წევრის ხელფასიდან საწევრო ანარიცხის გადარიცხვის განცხადების ნიმუშს.

გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი მხრიდან ზემოაღნიშნული პროცედურების დასრულების თაობაზე ელექტრონულად ან ტელეფონის მეშვეობით.

პატივისცემით „განათლების პროფესიული კავშირის"

პრეზიდენტი გიორგი ლაცაბიძე

ტელეფონი: 5 99 53 69 79 , 577 222 302
ელ-ფოსტა: union_education@yahoo.com



ტარას შავშიშვილი